

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ნაწილი	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფულადი სახსრები.	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.	13
9. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.	14
10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.	14
11. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.	14
12. ადმინისტრაციული ხარჯები.	14
13. ფინანსური შემოსავალი.	15
14. ფინანსური დანახარჯები.	15
15. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები.	15
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.	15

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	67,527	50,876
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,217,556	759,123
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	12,542	9,540
სულ მიმდინარე აქტივები		1,297,625	819,539
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	616,087	788,558
არამატერიალური აქტივები		2,616	603
სულ გრძელვადიანი აქტივები		618,703	789,161
სულ აქტივები		1,916,328	1,608,700
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	8	239,497	208,970
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	22,114	11,501
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		261,611	220,471
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	-
სულ ვალდებულებები		261,611	220,471
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,652,717	1,386,229
სულ საკუთარი კაპიტალი		1,654,717	1,388,229
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,916,328	1,608,700

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- პაატა ავალიანი

მთ. ბუღალტერი ----- თამუნა წივწივაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	10	4,342,923
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11	(3,346,672)
საერთო მოგება		996,251
სხვა შემოსავალი		2,925
კომერციული დანახარჯები		(99)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(772,354)
დადებითი საკურსო სხვაობა		20,369
ფინანსური შემოსავალი	13	55,248
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(25,736)
ფინანსური დანახარჯები	14	(10,116)
მოგება დაბეგვრამდე		266,488
მიმდინარე წლის მოგება		266,488

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი	-----	პაატა ავალიანი
მთ. ბუღალტერი	-----	თამუნა წივწივაძე

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	2,000	1,386,229	-	1,388,229
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	266,488	-	266,488
დივიდენდის განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	2,000	1,652,717	-	1,654,717

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- პაატა ავალიანი

მთ. ბუღალტერი ----- თამუნა წივწივაძე

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 15-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „პეგას“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2004 წლის 05 ოქტომბერს დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 202242297, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რ-ნი, გ.ჭყონდიდელის ქ.26, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადახდელად.

კომპანიის წილის მფლობელია:

პაატა ავალიანი (პ/ნ 01007005846) -50%;

რუსუდან ტაბიძე (პ/ნ 01007010509)-50%.

კომპანიის დირექტორები არიან:

პაატა ავალიანი (პ.ნ 01007005846)

დემურ ავალიანი (პ/ნ 01007001057)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელება და ორგანიზება და ასევე საგანმანათლებლო მომსახურება სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

აუდიტი. კომპანია იყენებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიერ დაწესებულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა შედგება:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10% განაკვეთით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	3,425	2,208
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	59,050	32,415
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	5,052	16,252
სულ	67,527	50,876

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	205,433	171,531
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	840,000	462,155
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	43,182	40,332
წინასწარ გადახდილი გადასახადი	62,915	12,547
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	66,027	72,558
სულ	1,217,556	759,123

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილი საქონლით:

	2018	2017
სხვა სასაქონლო ნაშთი	6,611	4,542
საწვავ-საცხები მასალები	5,931	4,998
სულ	12,542	9,540

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	63,529	108,295	1,602,073	1,542	6,791	40,780	1,823,009
შემოსვლა	627	624	15,128	288	1,050		17,717
გასვლა			(15,237)				(15,237)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	64,156	108,919	1,601,964	1,830	7,841	40,780	1,825,490
დაგროვილი ცვეთა							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	(45,831)	(77,601)	(881,904)	(358)	(705)	(28,052)	(1,034,451)
ცვეთის ხარჯი	(7,821)	(13,398)	(160,207)	(233)	(340)	(5,097)	(187,097)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა			12,146				12,146
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	(53,652)	(90,999)	(1,029,965)	(591)	(1,045)	(33,149)	(1,209,402)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	17,698	30,694	720,169	1,184	6,085	12,728	788,558
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	10,504	17,920	571,998	1,240	6,796	7,630	616,087

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	31.12.2018	01.01.2018
კრედიტორული დავალიანება მომსახურებიდან	111,419	201,501
მიღებული ავანსები	128,078	7,469
სულ	239,497	208,970

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.

2018 წლის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება:

	2018	2017
გადასახდელი ხელფასები	22,114	11,501
სულ	22,114	11,501

10. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

2018 წლის ამონაგები შედგება:

	2018
შემოსავალი სატრანსპორტო	
მომსახურებიდან	3,133,759
შემოსავალი ექსპედიციიდან	561,474
შემოსავალი საგანმანათლებლო	
საქმიანობიდან	647,689
სულ	4,342,923

11. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.

2018 წლის თვითღირებულება შედგება:

	2018
სატრანსპორტო მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	2,446,513
სხვა პირდაპირი ხარჯი	739,953
საწარმოო დანისწილების ცვეთის ხარჯი	160,207
სულ	3,346,672

12. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2018 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	542,869
კომუნალური ხარჯები	15,128
საიჯარო ქირა	97,517
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	11,288
ცვეთის ხარჯი	26,890
საოფისე ხარჯი	19,222
სხვა ხარჯები	59,441
სულ	772,354

შპს პეგას

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

13. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შემოსავლები შედგება:

	2018
ზიანის ანაზღაურება	(20,474)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(34,775)
სულ	(55,248)

14. ფინანსური დანახარჯები.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	9,092
საგადასახადო საურავები	54
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	969
სულ	10,116

15. დაკავშირებულ მხარეთა ტრანზაქციები.

განხორციელებული ტრანზაქციები დირექტორთან და პარტნიორთან:

	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(68,363)	-
საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვები	-	840,000
სულ	(68,363)	840,000

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 27 სექტემბერს.